ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 23

18 " აგვისტო 2010 წ.

ქ. თბილისი.

"19" აგვისტო 10 წ.
№ 010.030.000.38.10/000 332

"საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ"ქ. თბილისის მერის 2009 წლის 15 იანვრის №10 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. "საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 15 იანვრის №10 ბრძანებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვისა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ."

ბ) ბრძანების პრეამბულაში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ნაცვლად, მითითებულ იქნეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;

გ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულება, დანართის თანახმად."

დ) დებულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულება".

ე) დებულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.
საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანო - გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭო (შემდგომში: "საბჭო") წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავის მუშაობას წარმართავს საქართველოსა და ქ. თბილისში მოქმედი ნორმატიული აქტების, მათ შორის: "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ დებულების საფუძველზე."

ვ) დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 3 (სამი) წარმომადგენელი;"

ზ) დებულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საზოგადოებრივი და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ნიშნავს და ათავისუფლებს ქ.თბილისის მერი, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის, ქ. თბილისის საკრებულოსა და ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებს, მათივე ხელმძღვანელების წარდგინებით, ხოლო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის წარდგინებით, ნიშნავს და ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი."

2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერი

გიორგი უგულავა